



საქართველოს ადოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების N003/12¹ მიმოხილვა

ენვერ აბულაძე (სტუდენტი)

ფაქტები:

კლიენტსა და ადვოკატს შორის გაფორმდა ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ, რომლის მიხედვითაც ადვოკატი მას წარმოადგენდა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში. ადვოკატმა კლიენტის სახელით სააპელაციო სასამართლოში შეიტანა საჩივარი, რომელიც სასამართლომ განჩინებით განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივრის გასაჩივრების საპროცესო ვადის გაშვების საფუძველით. კლიენტმა ადვოკატს აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით დაგვიანებით გადასცა ბაჟი, რომლის გადახდის საჭიროებაც აღარ დადგა საჩივრის განუხილველად დატოვების გამო და იგი ადვოკატთან ინახებოდა. აღნიშნული განჩინება ადვოკატმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში, რომელზეც დადგინდა ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო. ადვოკატმა აღნიშნულზე დროულად არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია და არ შეავსო კერძო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი, რაზეც სასამართლომ მიიღო განჩინება კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობისთვის. ადვოკატმა ასევე არ განუმარტა კლიენტს სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის გაშვების, სააპელაციო საჩივრის საპროცესო ვადებში წარუდგენლობისა და სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის შემთხვევაში მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები და არ დაუბრუნებია მისთვის საქმის მასალები და სახელმწიფო ბაჟისათვის გადასახდელი თანხა. ადვოკატმა კლიენტს საქმის მასალები და თანხები დაუბრუნა ეთიკის კომისიაში მის მიმართ საჩივრის შემოტანის შემდეგ.

პროცესუალური ისტორია:

საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-13 ნაწილების შესაძლო დარღვევის ფაქტზე. განხილვის კოლეგიამ გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატის მიერ დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

ადვოკატმა სააპელაციო საჩივარი შეიტან სასამართლოში, მაგრამ იგი განუხილველად დარჩა გასაჩივრების საპროცესო ვადის დაუცველობის გამო. ადვოკატმა აღნიშნული გადაწყვეტილება კერძო საჩივრით გაასაჩივრა, რომელიც უზენაესმა სასამართლომ განჩინებით განუხილველად დატოვა, რამდენადაც კერძო საჩივრის ავტორმა სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი და არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი.

ადვოკატს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოქმედება უნდა შეესრულებინა იმისათვის, რომ სააპელაციო საჩივარი სასამართლოს წარმოებაში მიეღო. ასევე უნდა

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c472298b5467.pdf/5c472298b5467.pdf>

შეევსო სასამართლოს მიერ კერძო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი. კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობად არ შეიძლება ჩაითვალოს საჩივრის საპროცესო ვადის დაუცველად წარდგენა, ხოლო კერძო საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა, რის შედეგადაც სასამართლომ კერძო საჩივარი განუხილველი დატოვა. ადვოკატს კერძო საჩივარზე ხარვეზის დადგენის დროისათვის ჰქონდა კლიენტისაგან სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის მიზნით მიღებული თანხა, რომლის გადახდის საჭიროება აღარ დადგა სააპელაციო საჩივრის სხვა საფუძვლით განუხილველად დატოვების გამო და ეს თანხა გამოუყენებელი დარჩა ადვოკატთან. შესაბამისად, ადვოკატს კლიენტის ინფორმირების შემდეგ, შეეძლო აღნიშნული თანხის გამოყენება კერძო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შევსების მიზნით, მით უმეტეს კერძო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებას ისახავდა მიზნად.

ადვოკატის მიერ ასევე დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.

იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი არ მიაწვდის და სათანადოდ არ განუმარტავს კლიენტს კანონით მინიჭებულ საპროცესო უფლებებს, აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს კლიენტისათვის საზიანო სამართლებრივი შედეგის დადგომა. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა არ განუმარტა კლიენტს სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის გაშვების, სააპელაციო საჩივრის საპროცესო ვადებში წარუდგენლობისა და სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის შემთხვევაში მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები კლიენტს მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე არ ჰქონდა სწორი ინფორმაცია, თუმცა, ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილებისას ჰქონდა კანონიერი მოლოდინი და იურიდიული ინტერესი, რომ ადვოკატი მის საქმეს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად აწარმოებდა. კლიენტმა საპროცესო ვადის განმავლობაში არ გადაუცია ადვოკატისთვის სახელმწიფო ბაჟის თანხა, მაგრამ ადვოკატის მიერ საქმის მიმდინარეობის თაობაზე კლიენტის დროული და სწორი ინფორმირების შედეგად, შესაძლოა სააპელაციო საჩივარი სასამართლოს წარმოებაში მიეღო და არსებითად განეხილა. ასევე ადვოკატმა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ, კლიენტს არ დაუბრუნა საქმის მასალები. ადვოკატმა საქმის მასალები კლიენტს მხოლოდ ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანიდან რამდენიმე კვირაში დაუბრუნა.

ადვოკატის მიერ ასევე დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილი.

ადვოკატი ვალდებულია, არ დაუშვას იმ ფულადი სახსრების დაყოვნება, რაიმე სახით საკუთარ ანგარიშზე თუ პირად სალაროში შენახვა, რომელიც არ წარმოადგენს ადვოკატის ქონებას. მოცემულ შემთხვევაში, კლიენტის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადასახდელი ფულადი თანხის მინდობა ადვოკატისათვის, წარმოშობს ვალდებულებას, მინდობილი თანხა კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენოს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მინდობილი თანხის გამოყენება აღარ არის საჭირო, ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხის დაბრუნების შესახებ და პირველი შესაძლებლობისთანავე, ყოველგვარი დაყოვნებისა და კლიენტთან შეთანხმების გარეშე, უკლებლივ დაუბრუნოს კლიენტს ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხა, თუ სხვა ქონება. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის განცხადებით სახელმწიფო ბაჟის თანხა, რომლის გადახდის საჭიროებაც აღარ დადგა, მასთან ინახებოდა და ნებისმიერ დროს შეეძლო კლიენტისათვის დაბრუნება. ადვოკატმა

სახელმწიფო ბაჟის სახით მიღებული თანხები კლიენტს მხოლოდ მას შემდეგ დაუბრუნა, როდესაც მის მიმართ ეთიკის კომისიაში საჩივრი შემოვიდა. შესაბამისად, მას იგი კლიენტისთვის დაუყოვნებლივ არ დაუბრუნებია.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-13 ნაწილების დარღვევა და ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვრა საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 (ერთი) წლის ვადით.